<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №25, 22.08.2001, მუხ. 107) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 39-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. საერთაშორსიო დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი, სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ორგანიზაცია ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტი/წესდება ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს, ადამიანის უფლებათა დაცვას და რომლის საქმიანობაც ეფუძნება შემდეგ საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს:
ა) საქართველოს კანონმდებლობის, სუვერენიტეტისა და ადამინის უფლებათა საერთაშორისო ნორმების პატივისცემა;
ბ) საარჩევნო პროცესის ხელშეშლისგან თავის შეკავება;
გ) პოლიტიკური მიუკერძოებლობა;
დ) საარჩევნო პროცესის მონაწილეთაგან ფინანსური დამოუკიდებლობა და დაფინანსების წყაროების გამჭირვალეობა;
ე) ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა;
ვ) საერთაშორისო საარჩევნო დაკვირვების ძირითადი პრინციპების დეკლარაციით აღიარებული დებულებების დაცვა.
6. საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის წარმომადგენლების - საერთაშორისო

დამკვირვებლების მეშვეობით. ერთ ორგანიზაციას უფლება აქვს საარჩევნო უბანში ერთდროულად ყავდეს არაუმეტეს 2 სართაშორისო დამკვირვებლისა.“.

2. 111-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის საკიდან, რომელმაც იცის ქართული ენა.“.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 185^1 მუხლი:

„მუხლი 185^1 საარჩევნო უფლება გარდამავალ პერიოდში

1. 2014 წლის პირველ იანვრამდე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს მოქალაქეებთან ერთად მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება აქვს პირს, რომლიც დაბადებულია და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოს და ამ მუხლის ამოქმედების მომენტისთვის აქვს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეობა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე სრულად ვრცელდება ამ კოდექსით და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები, რომელიც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეს.
3. საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქის პასპორტი და პირადობის მოწმობის ნაცვლად ამ მუხლით გათვალისწინებული პირების მიერ გამოიყენება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს პასპორტი.
4. ამ კოდექსის 184-ე მუხლით განსაზღვრული კომისია უფლებამოსილია ამომრჩევლად დაარეგისტრიროს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნული პირების რეგისტრაცია ხორციელდება პირველ საარჩევნო ოლქში.“.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი